ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციალური მუშაობა

სტუდენტი: თეონა როგავა

მხარდამჭერი პირების პრობლემები და სოციალური მუშაობა

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე
ასოცირებულილ პროფესორი

თბილის, 2023 წელი

ანოტაცია

სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2023 წლის 21 ივნისის მონაცემებით დგინდება, რომ მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ერთიან ეროვნულ ბაზაში, მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირების რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით სულ რეგისტრირებულია 9441 აქტიური შემთხვევა. აქედან თბილისში 2236, ხოლო საქართველოს მასშტაბით რეგიონში 7205 შემთხვევა ფიქსირდება (სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). აღნიშნული სტატისტიკისა და კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქართულ პრაქტიკაში მხარდამჭერი პირები კომპლექსური საჭიროებისა და დილემების წინაშე დგანან, ხოლო არსებული პრობლემა გავლენას ახდენს როგორც მხარდასაჭერ პირებზე, ასევე სოციალურ მუშაკებზე და ზოგადად პროფესიაზე- სოციალურ მუშაობაზე **Invalid source specified.**.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის ცვლილებამ გარდამტეხი როლი შეასრულა მხარდაჭერის სიტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, თუმცა მხარდაჭერის სისტემის ხსენებისას მოსახლეობის უმრავლესობა ყურადრებას ამახვილებს მხოლოდ მხარდასაჭერ პირებზე, ხოლო მხარდამჭერი პირების საჭიროებები და გამოწვევები უკანა ფონზე რჩება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ასპექტში სოციალური მუშაკების ჩართულობაც, რომლებიც თავადაც აწყდებიან დაბრკოლებებს, როგორც სისტემურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე**Invalid source specified.** .

აღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, საბაკალავრო ნაშრომის საკვლევ თემად შეირჩა ,,მხარდამჭერი პირების პრობლემები და სოციალური მუშაობა". ნაშრომის მიზანია მხარდამჭერი პირების პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ანალიზი, ხოლო თემის უკეთ შესწავლის მიზნით ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორიცაა სირთულეები, რომლებსაც მხარდამჭერი პირები აწყდებიან მხარდაჭერის

და მხარდასაჭერი პირები მომსახურების მიღების პროცესში. ასევე, მხარდაჭერის პროცესის მსვლელობისას წამოჭრილი სირთულეები და სოციალური მუშაკის ჩართულობა მხარდამჭერი პირების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში. საკითხიდან გამომდინარე, საბაკალავრო ნაშრომის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ სოციალური მუშაკები, მხარდამჭერი პირები და შშმ სტატუსის მქონდე სრულწლოვანი პირები.

აღნიშნული საკითხის უკეთ საკვლევად, ნაშრომში გამოყენებულ იქნეა მეორად მონაცემთა ანალიზი და თვისებრივი კვლევის მეთოდები - სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფში. კვლევის ფარგლებში ჯამში გამოკითხული იქნა 19 რესპოდენტი და დამუშავებულ იქნა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის-თბილისის საქალაქო ცენტრის (მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს) დებულებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის შეფასება და სხვა.

აღნიშნული კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს მხარდამჭერი პირების ინდივიდუალურ და სისტემურ დონეზე არსებული გამოწვევები და მათი მოგვარების გზები. ასევე მომსახურების მიმღების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში სოციალური მუშაკის ჩართულობა, მომსახურების მიწოდების პროცესის თანმხლები გამოწვევების ფონზე.

სარჩევი

1. შესავალი 4
1.1 თემის აქტუალობა და მნიშვნელობა 4

1.2 ნაშრომის მიზანი, ამოცანები და სამიზნე ჯგუფი 6
1.3 ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია 7
1.4 კვლევის შეზღუდვა 8
2. ქმედუნარიანობიდან მხარდამჭერამდე 8
2.1 ქმედუნარიანობის რეფორმამდელი მოდელი 8
2.2 ქმედუნარიანობის რეფორმის ცვლილება 9
3.მხარდაჭერის პროცესში მხარდამჭერი პირების სირთულეები 10
4.მხარდაჭერის პროცესში მომსახურების მიმღები (მხარდასაჭერი) პირების სირთულეები .. 14
5. სოციალური მუშაკის ჩართულობა მხარდამჭერი პირების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში 15
6.დასკვნა 18
7.გამოყენებული ლიტერატურა 20

1. შესავალი

1.1 თემის აქტუალობა და მნიშვნელობა

1992 წლის 31 ივლისს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა და ამ გადაწყვეტილებით დიდი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერისა და კეთილდღეობის პოლიტიკის დანერგვა-განხორციელებაში (გაერო საქართველო, 2021). აღსანიშნავია

ისიც, რომ 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ", გაზარდა სახელმწიფოს როლი საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარების მიმართულებით, რომელზეც პასუხისმგებლობა საქართველომ ორგანიზაციის წევრობისთანავე აიღო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2008).

სოციალური მუშაობა ახალბედა პროფესიაა, რომელიც საქართველოს კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს რამდენიმე ათწლეულია ასრულებს და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან მუშაობს (შატბერაშვილი, 2011). გამონაკლისი არც მხარდაჭერის საჭიროების მქონდე პირები არიან, მხარდამჭერ პირებთან ერთად, რომლებიც ყოველდღიურობაში სხვადასხვა გამოწვევებს აწყდებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მხარდამჭერ-მხარდასაჭერ პირების გამოწვევების არსებობისა, ზოგადად მათ უფლებებს ახალი ხედვა, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმირების საფუძველზე მიეცა, რომლის მიხედვითაც განვითარდა ადამიანის სამართალსუბიექტობის კონვენციის პრინციპები და გაუქმდა ,,ქმედუუნარობასთან" დაკავშირებული რეფორმები (გვიშიანი; ღვინიანიძე, 2016).

საქართველოს კანონში სამოქალაქო კოდექსში ცვლიელბის შესახებ ვკითხულობთ, რომ ,,მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმარომს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში" (საქართველოს პარლამენტი, 2015). კანონში არაფერია ნათქვამი უშუალოდ მხარდამჭერის საჭიროებებზე, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარედაჭერის გარეშე იღებს ამ პასუხისმგებლობას თავისი დროისა და ადამიანური რესურსის ხარჯზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მხარდამჭერ პირად სასამართლოს მიერ შეიძლება დაინიშნოს ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან/და სოციალური მუშაკიც, შესაბამისად მათი სტატუსიდან და მომსახურების მიმღებ პირთან არსებული კავშირებიდან გამომდინარე, ყველა მათგანი განსხვავებულად შეძლებს არსებული სერვისების მიწოდებას და მომსახურების

მიმღების სერვისების რეალიზებას (ედიშერაშვილი, 2015). აქ უკვე წარმოიქმნება კიდევ ერთი დაბრკოლება, მართალია სასამართომ პირი დანიშნა მხარდამჭერ პირად, შეაფასა მისი რესურსები სხვადასხვა ასპექტში და მხარდამჭერმაც განაცხადა თანხმობა აღნიშნული პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა რეალობას ვაწყდებით მაშინ, როდესაც სამივე მხარე რეალობის წინაშე დადგება, როგორც მხარდამჭერი, ასევე მხარდასაჭერი პირი და სოციალური მუშაკიც, რომელსაც ხშირად მხარდამჭერის სტატუსის მიღებაც უწევს ბენეფიციარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რათა ეფექტურად განხორციელდეს სამომავლო გეგმები მხარდასაჭერი პირის სოციალური ფუნქციონირების ასამაღლებლად.

საქართველოს კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებების მიუხედავად, რომელიც ხშირ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბენეფიციარების ფუნქციონირებისთვის, პრაქტიკაში აღნიშნულის განხორციელება ბევრად დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ვაწყდებით ისეთ პრობლემებს როგორიცაა ფსიქო-ემოციური, ეკონომიკური, ფიზიკური და მენტალურ მდგომარეობის გაუარესება დაკისრებული მოვალეობა-პასუხისმგებლობების ხარჯზე (გოგბერაშვილი, კარაპეტიანი, 2019). შესაბამისად საჭიროა აღნიშნული პრობლემების სიღრმისეული კვლევა, რათა ჯერ ინდივიდუალურად იქნეს განხილული მწვავე შემთხვევები და მათზე დაყრდნობით გაიწეროს სამომავლო გეგმები. კანონის სისრულეში მოსაყვანად და დასახული მიზნის რეალიზაციისთვის აუცილებელია სისტემაში არსებული ხარვეზების დროული აღმოჩენა და მის მოსაგვარებლად მყისიები რეაგირება. სწორედ ამ საჭიროებეიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიე მეკვლია ისეთი თემა, როგორიცაა ,,მხარდამჭერი პირების პრობლემები და სოციალური მუშაობა“.

1.2 ნაშრომის მიზანი, ამოცანები და სამიზნე ჯგუფი

ნაშრომის მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანია მომსახურების მიმღების მხარდაჭერის პროცესში, მხარდამჭერი პირების პრობლემების და გამოწვევების, მათი გადაჭრის გზების და ამ ასპექტში, სოციალური მუშაკის ჩართვის საჭიროების ანალიზი.

ნაშრომის ამოცანები

- რა სირთულეებს აწყდებიან მხარდამჭერი პირები ბენეფიციარის მხარდაჭერის პროცესში.
- რა სირთულეებს აწყდებიან მხარდასაჭერი პირები მომსახურების მიღების პროცესში.
- მხარდაჭერის პროცესის მსვლელობისას წამოჭრილი სირთულეები.
- სოციალური მუშაკის ჩართულობა მხარდამჭერი პირების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში

ნაშრომის სამიზნე ჯგუფი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სრულწლოვანი პირები; სოციალური მუშაკები; მხარდამჭერი პირები.

1.3 ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია

აღნიშნული საკითხის უკეთ საკვლევად, ნაშრომში გამოყენებულ იქნეა მეორად მონაცემთა ანალიზი და თვისებრივი კვლევის მეთოდი. დამუშავებულ იქნა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის-თბილისის საქალაქო ცენტრის (მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს) დებულებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის შეფასება და სხვა.

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან შერჩეულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ მხარდამჭერ და მხარდასაჭერ პირებთან, ხოლო ფოკუს ჯგუფი სოციალური

მუშაკებთან. სულ გამოკითხულ იქნა 19 რესპოდენტი, საიდანაც ფოკუს ჯგუფში ჩაერთო 7 სოციალური მუშაკი, ხოლო სიღრმისეულ ინტერვიუში 6 მხარდამჭერი და 6 მხარდასაჭერი პირი. შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა. ფოკუს ჯგუფი სოციალურ მუშაკებთან და მხარდამჭერ პირებთან ჩატარდა პირისპირ, მხარდამჭერი პირებიდან 2 რესპოდენტთან ინტერვიუ განხორციელდა ონლაინ, პლატფორმა ZOOM-ის მეშვეობით (რადგან არ იმყოფებოდნენ საქართველოში), ხოლო 4 რესპოდენტთან პირისპირ, ფაქტობრივ მისამართზე. კვლევაში მონაწილე ყველა პირი ინფორმირებული იყო საკვლევი თემის არსის, მიღებული მონაცემების დამუშავება-გამოყენებისა და კონფიდენციალობის დაცვის შესახებ. ყველა რესპონდენტისგან მიღებულია კვლვაში მონაწილეობის შესახებ ვერბალური ინფორმირებული თანხმობა

1.4 კვლევის შეზღუდვა

კვლევის პროცესში წარმოიშვა რამდენიმე შეზღვუდვა. მასალის დამუშავების კუთხით შეზღუდვას წარმოადგენდა მხარდამჭერ და მხარდასაჭერ პირებთან დაკავშირებით, საქართველოს მაგალილთზე რეფორმების კვლევებისა და მასალების სიმწირე. შეზღუდვა ასევე გამოიკვეთა ინტერვიუირების დაგეგმვის პროცესში, ვინაიდან ოჯახური მდგომარეობისა და სიტუაციიდან გამომდინარე ყველა ვერ ახერხებდა გამოკითხვაში პირისპირ მონაწილეობას, ამიტომაც რამდენიმე მათგანთან ინტერვიუ განხორციელდა ონლაინ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აღნიშნული შეზრუდვებისა, შეგროვებულ იქნა ობიექტური მონაცემები და გაანალიზდა კვლევის ამოცანები. რესპონდნეტები იყვნენ გულწრფელები და მოახერხებს საფუძვლიანი პასუხების გაემა.

2. ქმედუნარიანობიდან მხარდამჭერამდე

2.1 ქმედუნარიანობის რეფორმამდელი მოდელი

საქართველოს კანონში ვკითხულობთ, რომ ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, რომელიც წარმოიშობა პირის სრულწლოვანების მიღწევისთანავე და ინდივიდს

თავისი სრული ნებითა და მოქმედებით საშუალებას აძლევს შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლება-მოვალეობები (საქართველოს პარლამენტი, 2015). აღსანიშნავია, რომ სანამ საკონსტიტუციო სასამართლო ქმედუნარიანობის განმარტების ამ სახემდე მივიდოდა, შიდა სამართლებრივი სისტემა ქმედუნარიანობის განსაზღვრის სტატუსზე დაფუძნებულ მოდელს იყენებდა (გვიშიანი, ღვინიანიძე, 2016). ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, პირის სამოქალაქო უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავდა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და გონებრივი განვითარება, კონკრეტულად, თუ პირს ცნობდნენ ,,ჭკუასუსტად" ან ,,სულით ავადმყოფად" მას ჩამოართმევდნენ ყველა უფლებას, გამოიყენებდნენ ჩანაცვლების მოდელს და პირს მიანიჭებდნენ ქმედუუნაროს სტატუსს (ზოიძე, 2013).

მას შემდეგ, რაც სასამართლო ინდივიდს ქმედუუნაროდ ცნობდა, კანონმდებლობის საფუძველზე ენიშნებოდა მეურვე, რომელიც სრულად იღებდა პასუხისმგებლობას ,,ქმედუუნარო" ინდივიდზე, რაც გულისხმობდა ამ უკანასკნელის ნებისმიერი სახის უფლების განხორციელების შესაძლებლობის ჩამორთმევას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სტატუსის მინიჭებისთანავე ინდივიდის სამართალსუბიექტურობის უფლება იზღუდებოდა განუსაზღვრელი ვადით (ქემოკლიძე, 2012). უფლებაშემლახავი იყო ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიმართ განხორციელებული ის ქმედებაც, რაც მოიაზრებს ქმედუუნაროდ აღიარებული პირის სასამართლო პროცესებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას. ეს უკანასკნელი მოიაზრებს იმას, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არ ქონდა უფლება დაეცვა საკუთარი თავი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასზე მეურვის მხრიდან განხორციელდებოდა ნებისმიერი სახის ძალადობა და არაკეთილსინდისიერი მობყრობა (გვიშიანი; ღვინიანიძე, 2016)

2.2 ქმედუნარიანობის რეფორმის ცვლილება

2015 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმები, რომლებიც ქმედუუნარობის

სისტემას განსაზღვრავდა (ქემოკლიძე, 2012). გადაწყვეტილების საფუძველზე, სასამართლო ქმედუუნარო პირს დამოუკიდებელ ინდივიდად განიხილავს და კონსტიტუციურად დაცული უფლებებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო სრულიად იზიარებს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის" მიზანს სადაც ხაზგასმითაა ნახსენები, რომ მნიშვნელოვანია კანონის წინაშე თანასწორობა და თანასწორუფლებიანობა, შესაბამისად სასამართლომ ქმედუნარიანობის მოდელის თითოეული ასპექტი აღნიშნული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის აღიარებული უფლებების მიმართ წინააღმდეგობაში ცნო (საქართველოს პარლამენტი, 2014).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-18, 36-ე და 42-ე მუხლებთან წინააღმდეგობრიობის საფუძვლით გაუქმებულმა სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მუხლებმა ახალი, სამართალსუბიექტურობაზე დაფუძნებული კონვენცია ჩამოაყალიბა (გვიშიანი, ღვინიანიძე, 2016). აღნინული ცვლილება შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირს სტატუსის მიუხედავად, უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე, მიიღოს განათლება და იცხოვროს დამოუკიდებლად (საქართველოს პარლამენტი, 2022). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდელით გაუქმდა ქმედუუნარობის შეზრუდვები და ჩანაცვლდა მხარდაჭერის მოდელით, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება.

3.მხარდაჭერის პროცესში მხარდამჭერი პირების სირთულეები

საქართველოს საქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებზე დაყრდნობით, კოდექსის 81-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს საჭიროების შემდთხევავში შეიძლება დაენიშნოს მხარდამჭერი პირი, რომელიც შეიძლება იყოს მისი ოჯახის წევრი, მეგობარი, ახლობელი და ა.შ (საქართველოს პარლამენტი, 2023). მხარდამჭერი პირის დანიშვნის ვადას განსაზღვრავს სასამართლო და აღნიშნული

ვადა რამდენიმე თვიდან 5 წლამდე მერყეობს. მხარდაჭერის პერიოდი დამოკიდებულია შემთხვევის სირთულესა და მომსახურების მიმღების საჭიროებებზე. ეს უკანასკნელი შეიძლება დაინიშნოს შრომითი საქმიანობის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და სხვა უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად (იურიდიული დახმარების სამსახური, 2023).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მხარდაჭერის მიმღებად რეგისტრირებულთა რაოდენობა 2023 წლის 21 ივნისის მონაცემებით, მხოლოდ თბილისში 2236 შეადგენს, რაც მთლიანი რაოდენობის ¼-ზე მეტია (სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, 2023). მხარდაჭერი პირების სირთულეების საკვლევად აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნეა რამდენიმე მხარდამჭერი პირი. აღსანიშნავია, რომ თითოეული შემთხვევა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, თუმცა გამოიკვეთა საერთო მახასიათებლებიც.

კვლევის ფარგლებში ინტერვიუირებისას ძირითად სირთულედ გამოიკვეთა ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური გამოწვევები, ინფორმაციულ ნაკლებობასთან ერთად. რესპოდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სოციალურ მუშაობაზე და უშუალოდ სოციალური მუშაკის შესახებ გაიგო მას შემდეგ, რაც მომსახურების მიმღებს სახელმწიფოს მხრიდან დაენიშნა სხვადასხვა სახის პენსია, თუმცა ისურვებდნენ, რომ მანამდეც გაეგოთ აღნიშნული პროფესიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკის პროფესიული მოვალეობის ერთ-ერთი ასპექტი მოიცავს მონიროტინგს, რაც ემსახურება მომსახურების მიმღების საჭიროებების დაკმაყოფილებას (საქართველოს მთავრობა, 2021).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მხარდამჭერი პირების გამოწვევების კვლევისას გამოიკვეთა, მომსახურების მიმწოდებელთათვის შემწეობის დანიშვნის საჭიროება. მხარდამჭერი აღნიშნულ ფაქტს ამყარებდნენ იმით, რომ მომსახურების მიმწოდებელს კანონმდებლობით ეკრძალება მომსახურების მიმღების მატერიალური

თუ არამატერიალური რესურსების გამოყენება, თუმცა არასაკმარისი საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე, ხშირად უწევთ მომსახურების მიმღების პენსიითა თუ შემწეობით ცხოვრება .

კვლევა გვიჩვენებს, რომ მხარდაჭერის პროცესში მხარდამჭერი პირი განიცდიან სტრესს და ფიზიკურ დაღლას (ELMO, 2023). რესპოდენტთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ მხარდამჭერი დედები, რომლებსაც შვილების საჭიროებებისა და კეთილდღობაზე ზრუნვის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. მათ უარი განაცხადეს პირად ცხოვრებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ მათი მხრიდან მხარდასაჭერი პირის ფუნქციონირება დიდწილად დამოკიდებულია მათსავე ქმედებებზე და დღემდე თავიანთი შვილებისსა თუ მომსახურების მიმღების ცხოვრებით ცხოვრობენ.

ასაკის მატებასთან ერთად თავს იჩენს სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემა, რაც მხარდაჭერის პროცესს უფრო ართულებს. ერთ-ერთმა რესპოდენტმა ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მოუწია ხერხემლის ოპერაციის გაკეთება და იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არ გვაქვს რამდენიმედღიანი 24 საათიანი ცენტრი მოუწია ოპერაციის გაკეთებიდან მესამე დღეს კლინიკის დატოვება, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების მიმღებსაც ახასიათებდა რთული ქცევა. 24 საათიანი ცენტრის არარსებობა ქმნის უმუშევრობის პრობლემასაც, ვინადაინ მათ, ვისაც არ ყავთ თანადგომის ქსელი, ვერ ახერხებებე მომსახურების მიმღების მარტო დატოვებას (Pohlan , 2019). ამ უკანასკნელთან ერთად იკვეთება მარტოხელად დარჩენის შიში, კონკრეტულად ერთადერთი მხარდამჭერი პირის დაკარგვის შემდგომ მხარდასაჭერი პირის მომავალის შესახებ. სამწუხაროდ საქართველოში არსებულ თავშესაფრებში მომსახურების მიმღებთა მიღების შესაძლებლობა ძლიან დაბალია და სერვისის მიღებამდე რამდენიმე თვით ადრეა რეგისტრაცია საჭირო, თუმცა იგივე არ ხდება გერმანიაში. ქვეყანას აქვს ბენეფიტები, რომლებსაც სთავაზობს როგორც თავისსავე ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე მიგრანტებს, კონკრეტულად დევნილებსა და ტოლვილებს (German red cross, 2021).

მხარდამჭერი პირები საზოგადოების მხრიდან მოწყვლადები ხდებიან დისკრიმინაციის და სტიგმი მიმართაც. ხშირ შემთხვევაში მხარდამჭერი პირები მხარდასაჭერ პირებთან ერთად გარეთ გასვლას სწორედ ამიტომ ერიდებიან, ეს უკანასკნელი კი ხელს უშლის მომსახურების მიმღების საზოგადოებაში რეალიზებას (Patrick W. Corrigan, 1998). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყველა ქალაქში და რეგიონში არ არის ხელმისაწვდომი ადაპტირებული გარემო. ქალაქში არის ადგილები, სადაც არ არის მოპირკეთებული პანდუსი, ადაპტირებულია შენობის შესასვლელი, პარკინგის ადგილი და ა.შ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2015). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ქვეყანაში არსებობს დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის და აქრიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე, სადაც ხაზგასმით არის ნახსენები და აღწერილი პანდუსებისა და ზოგადად ადაპტირებული გარემოს აუცილებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (საქართველოს მთავრობა, 2014).

კვლევის წარმართვისას გამოიკვეთა კომუნიკაციის სირთულეები და ემოციურ გადაწვასთან დაკავშირებული გამოწვევები. მხარდამჭერი პირები აღნიშნავენ, რომ ასაკის მატებასთან ერთან იცვლება მხარდასაჭერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ 7-დან 6 მხარდამჭერის შემთხვევაში მომსახურების მიმღების მდგომარეობა გაუარესდა, რაც აისახა მხარდამჭერის ემოციურ მდგომარეობაზე, რადგან უმრავლესობა მხარდამჭერ პირს მხარდასაჭერ პირთან აკავშირებდა სისხლით ნათესაობა. ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ დედა-შვილი, და-ძმა, მამიდა და ძმისშვილი, დეიდა და დისშვილი და ა.შ. კომუნიკაციის პრობლემა ძირითადად გამოიკვეთა აუტისტური სპექტრისა და ცერემბრალური დამბლის დიაგნოზის მქონე მხარდასაჭერ პირებთან. მიუხედავად იმისა, რომ მხარდამჭერთა დიდი ნაწილს კომუნიკაციის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, აღნიშნავენ, რომ დიაგნოზი ზოგჯერ უმართავია და მხარდასაჭერი პირი იმაზე მეტად არაადეკვატური ხდება ვიდრე აქამდე იყო.

სიტუაცია განსაკუთრებით უმართავი ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური პრობლემების გამო ვერ ხერხდება მეტიკამენტების დროულად შეძენა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის ანალიზში მკაფიოდაა აღწერილი ის შედეგები რაც თან სდევს ემოციურ გადაწვას. აღნიშნულია, რომ ემოციური გადაწვა ადამიანის ორგანიზმს და მის ჯანმრთელობას უფრო ანადგურებს ვიდრე ფიზიკური გადაღლა, რადგან პირველ შემთხვევაში ძალიან რთულია მობილიზება და სხვა რამეზე ფიქრი, ხოლო ფიზიკური დაღლის შემთხვევაში შეგიძლია სადმე წამოჯდე და განიტვირთო (WHO, 2020).

4.მხარდაჭერის პროცესში მომსახურების მიმღები (მხარდასაჭერი) პირების სირთულეები

მხარდაჭერის პროცესში მხარდაჭერის მიმღებთა მხრიდან ყველაზე ხშირად გამოიკვეთა სერვისების ნაკლებობის პრობლემა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის სირთულე. განსაკუთრებით ახალგაზრდები იხსენებდნენ ყველაზე კარგად მათი ბავშვობის პერიოდს, რადგან ეს უკანასკნელი მათთვის ასოცირდებოდა დღის ცენტრთან -,,პირველ ნაბიჯთან". როგორც რესპოდენტები გვიზიარებენ, მათ საშუალება ქონდათ თანატოლებთან ეურთიერთათ, სხვადასხვა სამაგიდო თამაშები ეთამაშათ და შემეცნებით აქტივობებში ჩართულიყვნენ, თუმცა სრულწლოვნობის ასაკის მიღწევისთანავე ეს მომსახურება მათთვის მიუწვდომელი გახდა. სწორედ ამ სერვისების ნაკლებობას მივყავართ ინდივიდის ჩაკეტილობამდე და გარკვეული სახის ფობიების შეძენამდე (MAYO CLINIC, 2023). კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ ძალიან რთულად გადაიტანა დღის ცენტრის სერვისის შეწყვეტა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა კოვიდ რეგულაციებმა და ახლა სულ ეშინია გარეთ გასვლის,. გახდა უფრო ჩაკეტილი და აღნიშნავს, რომ თავისით გააძლიერა უკვე არსებული ,,ციხე".

ეტლით მოსარგებლე ინდივიდებისთვის სხვადასხვა დაწესებულებებში დოკუმენტავიის მოსაგვარებლად სიარული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბრკოლებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური პრობლემების გამო უწევთ საზოგადოებრივი ტრტანსპორტიT მგზავრობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მათთვისს მოუხერხებელია. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გამოთქვამენ სურვილს, რომ იმ არსებულ მინიმალურ სერვისების მიღებაზე იმიტომ არ უნდა თქვან უარი, რომ ვერ ახერხებს მისვლას და არსებული სერვისი უნდა მიიღოს სახლში, როგორც ეს სხვა განვითარებულ ქვეყნებში ხდება, როგორიცაა აშშ, გერმანია და საფრანგეთი (Altogether Care, 2021). განსაკუთრებით ემოციურად იხსენებენ ექსპერტიზაზე მისვლისა და თვითონ პროცედურის სპეციფიკასაც და აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი მათთვის შეურაცხმყოფელი იყო.

როგორც მხარდამჭერი, ასევე მხარდასაჭერი პირებიც განიცდიან თანადგომის ქსელის არ არსებობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახში მხარდამჭერი და მხარდასაჭერი პირის გარდა არავინ ცხოვრობს. ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ,,როცა დედა მაღაზიაში ჩადის, ღმერთს სულ მაგას ვეხვეწები რომ წაქცეული არ დავხვდე და ვინმე ჩემს დასახმარებლად რომ მოვა, კარის გაღება შევძლო“. აღსანიშნავია ისიც, რომ მხადასაჭერ პირად ისურვებდნენ დედას ან/და შვილს, რადგან ახლო ნათესავები მაინც ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას , რადგან მხარდასაჭერი პირის საჭიროება დიდია, სერვისი ნაკლები, ხოლო მხარდამჭერ პირებს ,,თავისი ოჯახი აქვთ“.

5. სოციალური მუშაკის ჩართულობა მხარდამჭერი პირების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში

სოციალური მუშაობა მულტიდისციპლინარული პროფესიაა რომელიც პროფესიული ეთიკის სტანდარტზე დაფუძნებით ახორციელებს თავის უფლება-მოვალეობას. პროფესიას შეხება აქვს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან, რომელთანაც აკავშირებს

საერთო მიზანი- მომსახურების მიმღების სოციალური ფუნქციონირების გაზრდა და საზოგადოებაში ინტეგრაცია (საქართველოს პარლამენტი, 2018).

სასამართლოს მიერ მხარდასაჭერ პირზე მხარდამჭერი პირის დანიშვნისთანავე შემთხვევა გადაეცემა სოციალურ მუშაკს, რომელიც იკვლევს არსებულ სიტუაციას და ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე გაწერს სამუშაო გეგმას (GASW & UNICEF, 2019). ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ყველა სოციალურ მუშაკს გააზრებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა მხარდასაჭერ-მხარდამჭერ პირებთან და მკაფიოდ აჟღერებენ იმ გამოწვევებს რასაც საველე პირობებში აწყდებიან.

როგორც უკვე ვახსენეთ, მხარდამჭერი პირი მხარდამჭერად ინიშნება ან დროებით, ან მუდმივად (სერგია, 2019). სოციალურ მუშაკთა უმრავლესობა მხარს უჭერს დროებით მხარდაჭერას, რადგან არის შემთხვევა, როდესაც აღნიშნული სტატუსის საჭიროება იმიტომ წარმოიშვა, რომ შშმ პირს არ შეეძლო დოკუმენტაციაზე ხელის მოწერა და საჭიროება დადგა მესამე პირის ჩართვისა (იურიდიული დახმარების სამსახური, 2023). ასეთი შემთხვევები ფიქსირდება ავტოკატასტოფა ან ინსულტგადატანილ მომსახურების მიმღებ ინდივიდებთან (Matteo Picchio, 2017). პროფესიის მიმდევრები არ ეთანხმებიან გრძელვადიან პერსპექტივას, რადგან შანსი ერთ ინდივიდზე მრავალჯერადად გრძელვადიანი პერიოდით მხარდამჭერად დანიშვნისა დიდია. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ინტერვიუში მონაწიელე ორი სოციალური მუშაკი უკვე მესამედ იყო გრძელი ვადით მხარდამჭერად დანიშნული, მაშინ, როდესაც ამის საჭიროებას ვერ ხედავდნენ, როგორც მხარდასაჭერი პირი, ასევე სოციალური მუშაკი მახრდამჭერის სტატუსით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხარდასაჭერ პირს თავისუფლად შეეძლო მეტყვეება და აზრის გამოხატვა.

სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკები ფიქრობენ, რომ მხარდამჭერი პირის სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაზე კარგად ვერ მუშაობენ, რადგან არ აქვთ საკმარისი როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსები. მათთვის

მხარდაჭერის სტატუსი არ გულისხმობს მმხოლოდ დოკუმენტაციებზე მინდობას ან/და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭირო სერვისების კონტროლს, არამედ ფსიქო-ემოციურად გაძლიერებას და ხარისხიანი სერვისის მიწოდებას. როგორც სოციალურმა მუშაკებმა განაცდახეს, ერთ სოციალურ მუშაკს მინიმუმ უწევს 5-9 ინდივიდის მხარდამჭერად ყოფნა, რადგან არ ყავთ თანადგომის ქსელი ან/და არავინ გამოთქვამს სურვილს, რომ აიღოს ეს პასუხისმგებლობა. აქვე არსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების მიმღებს ყავდეს თანადგომის ქსელი, თუ თავად პოტენციური მხარდამჭერი პირი არ გამოთქვამს მზაობას და თანხმობას, მანამდე კანონმდებლობის საფუძველზე ვერ დაინიშნება მხარდამჭერად (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი).

სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ძალიან ხშირად აწყდებიან როგორც მომსახურების მიმღების, ასევე მიმწოდებლის მოტყუების ფაქტს სხვადასხვა ორგანოების მხრიდან, რაც გამოწვეულია ინფორმაციული ნაკლებობით. საუბარია იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სარეაბილიტაციო სერვისებზე, რომლით სარგებლობაც უფასოდ შეეძლოთ. ამ უკანასკნელის აღმოფხვრის გზას სოციალური მუშაკები ხედავენ შემეცნებით ღონისძიებებსა და ტრეინიგ-სემინარებში.

სახელმწიფოს ზრუნვის სააგენტოში აღნიშნავენ, რომ მხარდამჭერი პირების მხრიდან ჩართულობის სურვილი ნელ-ნელა იზრდება, თუმცა რესურსების სიმწირის გამო ვერ ხერხდება სათანადო სერვისებით უზრუნველყოფა, რაც იწვევს მხარდამჭერი პირების მხრიდან სოციალური მუშაკის მიმართ არსებული ემპათიის ნელ-ნელა გაქრობას, რადგან ვერ ხერხდება მათი საჭიროებების დაკაყოფილება.

სოციალური მუშაკის ჩართულობა მხარდამჭერი პირის სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ქართულ რეალობაში ნაკლებად შესაძლებელი. იმისათვის, რომ მხარდამჭერი პირისთვის მოხდეს სათანადო სერვისების მიწოდება საჭიროა დრო, რასაც სოციალური მუშაკები ვიზიტებზე სიარულში ხარჯავენ, რადგან ორგანიზაციებს არ ყავთ საკმარისი

რაოდენობის ტრანსპორტი. ამასთანავე მხარდამჭერები სააჭიროებენ გეგმის გაწერას, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ფსიქოლოგის ჩართვის გარეშე, რადგან მხარდასაჭერი პირისთვის მხარდაჭერის რამდენიმეწლიანი მომსახურების მიწოდების ფონზე, თვითონ მომსახურების მიმწოდებელი იფიტებიან (Pietro Vittorio BARBIERI, 2022). პრობლემის გამომწვევ მიზეზად სახელდება დასვენების დღეების არარსებობა, რადგან ხშირ შემთხვევაში არ ყავთ თანადგომის ქსელი და ქვეყანაშიც არ მოიპოვება საკმარისი რაოდენობის ცენტრები, სადაც შესაძლებელი იქნება მომსახურების მიმღების რამდენიმე საათით განთავსება, რომ მხარდამჭერმა ექიმთან შეძლოს ვიზიტზე წასვლა ან უბრალოდ დასვენება.

6.დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის საკვლევ თემად შეირჩა ,,მხარდამჭერი პირების პრობლემები და სოციალური მუშაობა", ხოლო საკვლევი თემის მიზანს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მხარდაჭერის პროცესში, მხარდამჭერი პირების პრობლემების და გამოწვევების, მათი გადაჭრის გზების და ამ ასპექტში, სოციალური მუშაკის ჩართვის საჭიროების ანალიზი.

კლვლევაზე დაფუძნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მხარდამჭერ-მხარდასაჭერი სისტემა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული, თუმცა განვითარებისთვის საჭირო საწყისი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. აღსანიშნავია, რომ სამომავლო გეგმებიც მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ცდილობს მოსახლეობის ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფი სოციალური ფუნქციონირების ამაღელბაზე და საზოგადოებაშო ინტეგრაციაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე გადადგმული ნაბიჯებით ბევრი მომსახურების მიმღების ცხოვრება შეიცვალა დადებითად, რადგან მათ საშუალება მიეცათ რეალიზებურად გამოიყენონ ის რესურსები და შესაძლებლობები რაც უკვე ქონდათ, თუმცა სახელმწიფოში არსებული ძველი სისტემენბისა და გამო დროებით შეეზღუდათ. კარგი იქნება თუ სამომსავლოდ საქარტველოც შეუერთდება ისრაელის მოდელს, რადგან ამ

უკანასკნელს კარგად აქვს ხაზგასმული ისე უფლება-მოვალეობები რაც მხარდამჭერ პირს აკისრია და ის უფლებებიც რითაც მხარდასაჭერი პირი შემოიფარგლება. შესაბამისად ამ უკანასკნელში სისტემა დაბალანსებურად მუშაობს, ისე, რომ ორივე მხარის სურვილები დაკმაყოფილებულია.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებს გავლენის მოხდენა შეუძლი მომსახურების მიწოდების ხარისხზე. ამ უკანასკნელს განაპირობებს ინფორმაციულობის კუთხით საზოგადოების ცნობიერების დონე, შესაბამისად, დგება მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების საჭიროებაც, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კვლევის შედეგები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხარდასაჭერი პირების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვაწყდებით როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე, თუმცა გამოწვევის აღმოფხვრის განსხვავებული მიდგომებით ხასიათდება. ნებისმიერი მხარდამჭერი პირი, რომელიც ღირსეულად ასრულებს აღებულ პასუხისმგებლობას აუცილებლად აწყდება ფსიქო-ემოციურ სირთულეებს, რომლის მართვისთვისაც აუცილებელია საკითხის შესწავლა და გამოწვევაზე მუშაობა. ხაზი უნდა გაესვას ეკონომიკურ მდგომარეობასაც, რომ მხარდასაჭერ პირზე ზრუნვა ბევრად მეტ დროით და მატერიალურ რესურსს მოითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანისა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხარდამჭერი პირი შვილის მხარდამჭერად ინიშნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მხარდამჭერები აწყდებიან დასაქმების პრობლემებს, რადგანაც მხარდასაჭერ პირზე ზრუნვას უთმობენ დროის დიდ ნაწილს, რასაც ხშირ შემთხვევაში საკუთარი თავის უგულვებელყოფამდე მივყავართ.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, მხარდამჭერი პირების პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელება ისე, როგორც ეს 2014 წელს მოხდა. ამასტანავე მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიები, რატა

საზოგადოებამ გაიაზროს მხარდამჭერი პირის სტატუსი, მისი მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ამ კონტექსტში სოციალურ მუშაკტანმ ტანამშრომლობის საჭიროება. ამასთანავე ვფიქტობ, რომ უმჯობესი იქნება ტუ სასამართლო სწორად გამოიყენებს კონსტიტუციურად მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს და მხარდამჭერ პირასც მისცემს დამოუკიდებლად აზრის დაფიქსირების საშუალებას, რადგან ყველა გონებრივი თუ ფიზიკური შეზღუდვისა და გამო არ სჭირდება ინდივიდს მხარდამჭერის დანიშვნა და თავისუფლად შეძლოს თავისი აზრის გამოხატვა.

7.გამოყენებული ლიტერატურა

Altogether Care. (2021). *When You Need it Most*. Retrieved from https://altogethercare.co.uk/care-at-home/?gclid=CjwKCAjw-vmkBhBMEiwAlrMeF-IxNP8gijZEggkjZl2q0tJ53HJA8MseIW_VyiWU8Y8_8lxm8YOjxhoCcwwQAvD_BwE

ELMO. (2023, 02). *Managing Workplace Stress and Fatigue: A Practical Guide for Employers*. Retrieved from https://elmosoftware.com.au/resources/blog/managing-workplace-stress-and-fatigue-a-practical-guide-for-employers/

GASW & UNICEF. (2019). *შეზღუდული შესაძლებლობის ბიოფსიქოსოციალური შეფასება და სტატუსის განსაზღვრის სისტემა*. მოპოვებული file:///C:/Users/Administrator/Desktop/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%8-დან

German red cross. (2021). Emergency Sheltering. In G. o. Germany. Shelter Research Unit. Retrieved from Guidelines on emergency sheltering for refugees in Germany.

Matteo Picchio. (2017, 07). *Temporary jobs and the severity of workplace accidents*. Retrieved from Journal of Safety Research: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S002243751730138X

MAYO CLINIC. (2023). *Specific phobias*. Retrieved from https://www.mayoclinic.org/diseases-conditions/specific-phobias/symptoms-causes/syc-20355156

Patrick W. Corrigan. (1998). *The impact of stigma on severe mental illness*. Retrieved from Cognitive and Behavioral Practice: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1077722998800060

Pietro Vittorio BARBIERI. (2022, 02 24). *The role of family members caring for people with disabilities and older persons: the explosion of the phenomenon during the pandemic*. Retrieved from https://www.eesc.europa.eu/en/our-work/opinions-information-reports/opinions/role-family-members-caring-people-disabilities-and-older-persons-explosion-phenomenon-during-pandemic

Pohlan . (2019, 08). *Unemployment and social exclusion*. Retrieved from Journal of Economic Behavior & Organization: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0167268119301969

WHO. (2020). Doing What Matters in Times of Stress: An Illustrated Guide.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. (თ. გ.). *ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება (კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი).*

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2008). *ადამიანის უფლებატა საყოველტაო დეკლარაცია.* გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის საქარტველოს ოფისი; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, საქართველო. მოპოვებული chrome-

extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf-დან

გაერო საქართველო. (2021). *ჩვენს შესახებ.* მოპოვებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველო: https://georgia.un.org/ka/about/about-the-un-დან

გვიშიანი, ღვინიანიძე. (2016). *ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC.

გვიშიანი, ღვინიანიძე. (2016). *ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC.

გვიშიანი; ღვინიანიძე. (2016). ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება; კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC.

გვიშიანი; ღვინიანიძე. (2016). ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება; კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC. მოპოვებული chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%9-დან

გოგბერაშვილი, კარაპეტიანი. (2019). *შშმ ბავშვების დედების საჭიროებები თბილისსა დარეგიონებში.* თბილისი: "ქალთა ფონდი საქართველოში". მოპოვებული chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://womenfundgeorgia.org/Files/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20.pdf-დან

ედიშერაშვილი. (2015 წლის 09 09). *მხარდაჭერის ინსტიტუტი.* მოპოვებული გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: https://www.gruni.edu.ge/other_content/index/790/1574860095-დან

ზოიძე. (2013). *სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. მოპოვებული chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Soidse_Der_Versuch_13.pdf-დან

იურიდიული დახმარების სამსახური. (2023). პირის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობა. *რა ვადით ენიჭება პირს მხარდაჭერა.* მოპოვებული https://www.legalaid.ge/ka/p/339/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9E%E1%83%98%E1-დან

საქართველოს მთავრობა. (2014 წლის 01 01). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.* მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186893?publication=0-დან

საქართველოს მთავრობა. (2021 წლის 06 10). სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტის დამტკიცების შესახებ. *სოციალური მუშაკის ეთიკური პასუხისმგებლობა სოციალური მუშაობის პროფესიისადმი; მუხლი 4; ქვეპუნქტი ბ. ა).*

საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 12 04). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.* მოპოვებული საქარტველოს საკანონმდებლო მაცნე.-დან

საქართველოს პარლამენტი. (2015 წლის 20 03). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ,.* მოპოვებული საქართველოს კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2789947?publication=0-დან

საქართველოს პარლამენტი. (2015 წლის 20 03). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.* მოპოვებული „მუხლი 1289. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მოვალეობები, 2 ქვეპუნქტი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2789947?publication=0-დან

საქართველოს პარლამენტი. (2018 წლის 29 06). *საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ.* მოპოვებული თავის 3 & თავი 4: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=7-დან

საქართველოს პარლამენტი. (2022 წლის 14 07). საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. 3-11. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1-დან

საქართველოს პარლამენტი. (2023 წლის 13 06). საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 19. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158-დან

სერგია. (2019). აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. ფ. ს. სამართალსუბიექტურობა.-ში თბილისი.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2015 წლის 23 09). *შეზღუდული სახელმწიფო ზრუნვა და შშმ პირები ოჯახურ გარემოში.* მოპოვებული https://socialjustice.org.ge/ka/products/shezghuduli-sakhelmtsifo-zrunva-da-shshm-pirebi-ojakhur-garemoshi-დან

სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. (2023 წლის 21 06). *№633187 წერილის პასუხი, №100031852300655922.* (მაღლაფერიძე, რედ.)

ქემოკლიძე. (2012 წლის 27 06). *საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.* მოპოვებული საქარტველოს საკონსტიტუციო სასამართლო: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1259-დან

ქემოკლიძე. (2012 წლის 27 06). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. *საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, 3-17. მოპოვებული https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1259-დან

შატბერაშვილი. (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი საქართველო.* თბილისი: გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. მოპოვებული chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW_Situational_Analysis_Report_Georgia_GASW_GEO_29_11_2011_F.pdf-დან